

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი



ელექტრონული ტენდერი

ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო
ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვა

შესყიდვის კატეგორია - 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45311000 - ელექტროგაყვანილობებისა და
ელექტრომოწყობილობების მონტაჟი

სატენდერო დოკუმენტაცია

ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

2016 წ.

ტექნიკური დოკუმენტაცია (პირობები)

1.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.2 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - ქალაქი ფოთი) მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვა (დანართი 1.2.1-ის შესაბამისად).

შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს - 24198 ლარს, დღგ-ს გარეშე.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

შესყიდვის ობიექტის ვადები - ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.

სატენდერო წინადადების ფასი - წარედგინება დღგ-ს გარეშე. პრეტენდენტი არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ტენდერში შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულების ღირებულებაში დამატებით იქნება გათვალისწინებული დღგ-ს ოდენობა.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული კონუსური ფორმის, კარკასული კონსტრუქციის ნაძვის ხის (1 ნაძვის ხე 20მ სიგრძის) მონტაჟი, მორთვა, განათება. ასევე მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ქალაქის ქუჩების სათამაშოებით მორთვა - განათება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ ქუჩებზე.

შენიშვნა: მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს არსებული ნაძვის ხის, სათამაშოების და სხვა მოსართავი საშუალებების ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილზე (საწყობი-მოსართავი მოედანი, საწყობი - მოსართავი ქუჩები).

- ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების ფორმების (ფორმა N2, ფორმა N3) და მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე, აღნიშნული ფორმების შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დამოწმების შემდეგ, 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

- სამუშაოების შესრულებისას სრულად უნდა იყოს დაცული უსაფრთხოების ნორმები. ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მონტაჟის სამუშაოების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობა: იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

1.3 პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ფასების ცხრილს (ხარჯთაღრიცხვა) (დანართი 1.3.1-ის შესაბამისად).

ბ) ინფორმაციას, 2013-2014-2015 წლებში შესრულებული ელექტრო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესახებ, რომლის ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50000 ლარს (დანართი 1.3.2-ის შესაბამისად).

გ) ინფორმაციას, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შესახებ, მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს (სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები საკუთრებაში ან/და იჯარით გაცემული) არანაკლებ 2 ერთეული ამწე კალათა და ერთი ერთეული სამგზავრო-სატვირთო ავტომანქანა (დანართი 1.3.3).

დ) ინფორმაციას დანართი 1.3.4-ის (პრეტენდენტის რეკვიზიტები) შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან,

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

მაია სულავა, ტელ: +995 493 22-45-54

მობილური 599 748 436

ელ. ფოსტა: potitenderi2011@gmail.com წერილობითი მომართვის შემთხვევაში - ქალაქი ფოთი,

დ. აღმაშენებლის ქუჩა № 12, სატენდერო კომისია.

ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების
სამუშაოების შესყიდვა

ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ღირებ.	მთლიანი ღირებულება
1	2	3	4	5	6
სამონტაჟო სამუშაოები					
1	მანათობელი ლოლოს მონტაჟი	კომპ	70		
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	65,625		
	ანძური ამწვევი	მ/სთ	43,61		
	ბაგირი 4მმ	გრძ.მ	120		
	სხვა მასალები	მან	16,8		
2	სტრინგის მონტაჟი ქუჩებზე და ნაძვის ხეზე	ცალი	100		
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	93,75		
	ანძური ამწვევი	მ/სთ	27,80		
	სხვა მასალები	მან	9,98		
3	მანათობლების და ნაძვის ხეების უზრუნველყოფა 2X1,5მმ2 ალუმინის სადენით	მ	1200		
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	165,0		
	ანძური ამწვევი	მ/სთ	72,0		
	ალუმინის სადენი	გრძ.მ	1200,0		
4	მანათობელი ფარდის მონტაჟი	ცალი	70,0		
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	87,5		
	ანძური	მ/სთ	19,46		
	ბაგირი 4მმ	გრძ.მ	120,0		
	სხვა მასალები	მან	21,0		
5	მანათობელი მილის მოწყობა	კმ	0,324		
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	7,29		
	ანძური ამწვევი	მ/სთ	9,072		
6	სხვადასხვა ფორმების ნაძვის ხის სათამაშოების მონტაჟი	ცალი	70		
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	10,15		
	ანძური ამწვევი	მ/სთ	3,920		
	სხვა მასალები	ლარი	11,69		
7	მანათობელი ვარსკვლავების მონტაჟი	ცალი	50		

	შრ.დანახარჯი	კ/სთ	7,25		
	ბაგირი 4მმ	გრძ.მ	120		
	ანძური ამწვევი	მ/სთ	2,80		
	სხვა მასალები	ლარი	8,35		
8	ნაძვის ხის მონტაჟი (მცირე შეკეთებით)და გაწყოლა	ცალი	1		
	შრ.დანახარჯი	ლარი			
	ანძური ამწვევი	მ/სთ	80		
	ბაგირი 12მმ	გრძ.მ	300		
	ჭანჭიკი ქანხით	ცალი	800		
	მილკვადრატი 10X20	გრძ.მ	380		
	სხვა მასლა	ლარი			
9	მანათობლების და ნაძვის ხეების უზრუნველყოფა 2X6მმ2 ალუმინის სადენით	მ2	324,0		
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	44,55		
	ანძური ამწვევი	მ/სთ	19,44		
	2X6მმ2 ალუმინის სადენი	გრძ.მ	300		
	ჯამი				
	ტრანსპორტირების ხარჯები მასალებზე 2%				
	ჯამი				
	მათ შორის ხელფასი				
	ზედნადებნი ხარჯი ხელფასის 75%				
	ჯამი				
	გეგმიური დაგროვება	%			
	ჯამი				

დანართი 1.3.2

ინფორმაცია, 2013-2014-2015 წლებში შესრულებული ელექტრო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესახებ, რომლის ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50000 ლარს

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ნომერი ღირებულება	დასრულების თარიღი
1				
2				
3				

შენიშვნა: მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი) ატვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების,
მოწყობილობა-დანადგარების შესახებ

№	მოწყობილობა მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და გამოშვების წელი	რაოდენობა	ტექნიკური მდგომარეობა	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა, იჯარის შესმთხვევაში წარმოდგენილ იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება
1					
2					
3					
.					

შენიშვნა: პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირტოს ზემოთხსენებული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობა-დანადგარების საკუთრების/ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პრეტენდენტის რეკვიზიტები

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება -----

იურიდიული პირის ხელმძღვანელის ან ფიზიკური პირის
სახელი და გვარი -----

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი -----

საიდენტიფიკაციო კოდი ან ფიზიკური პირის შემთხვევაში
პირადი ნომერი -----

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი -----

ელ-ფოსტა: -----

ბანკის დასახელება და ბანკის კოდი -----

ანგარიშის ნომერი -----

საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(სამუშაოს შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

----- 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები და შესყიდვის სამართლებრივი საფუძვლები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი - შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ---
----- და მეორეს მხრივ, ----- შემდეგში „მიმწოდებელი“ -----
„გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის 9 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“).

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების სამუშაოები

2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი.

სატენდერო განცხადების ნომერი -----

შესყიდვის კატეგორია - -45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 45311000 -ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრო მოწყობილობების მონტაჟი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს -----

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 სამუშაოების მიწოდების ვადაა -----

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მიღება-ჩაბარებისთვის მხარეთა შორის შეთანხმებული ეტაპის დასრულების შემდგომ, შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N2, N3 და სხვა არსებობის შემთხვევაში).

4.3 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

5. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

5.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული მომსახურების მოცულობის მიხედვით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხარო მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

6.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას და გადაგადაცილებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

9.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს, როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელდება -----

10.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

10.5 მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ორი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

